ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ბ-10/01231631749-17

"30" 08 2023 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №3-ში (საკ. კოდი №01.14.05.009.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი - II კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №5888720 08.04.2022წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №59 08228 21.04.2022წ.

ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №3-ში (საკ. კოდი №01.14.05.009.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა და შემცირებულია გამწვანების ფართი. ტერიტორიაზე დ-დ ღერძის გარეთ ჩამოშლილია მიწის ნაწილი. შეცვლილია ღობის მოწყობა. ფასადებზე დამატებით მოწყობილია რიგელები. შეცვლილია შუშის მოაჯირების დანაყოფების რაოდენობა.
„ფასადი 1-4": 3-4 მონაკვეთში +3.50 ნიშნულზე შევლილია ვიტრაჟის ვიზუალი.
„ფასადი 4-1": დამატებით მოწყობილია ღიობი მილით.
„ჭრილი 1-1": +7.60 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში გაზრდილია გადახურვის სიმაღლე

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 31.05.2019წ. №255-ე დადგენილების 29-ე მუხლის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, 27-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ნაფეტვრები"-ს, ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №3-ში (საკ. კოდი №01.14.05.009.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი - II კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01231631749-17 12.06.2023წ. განცხადება.
№წ-10/01231631749-17 03.07.2023წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზაზა კვიციანი